№8/9 21.03.2025

მინდობილობა

მე, შპს ,,ანაგის"ის (ს/კ: 245416401) დირექტორი ირაკლი გოგოლიშვილი (შემდგომში მოხსენიებული როგორც „მიმნდობი"), ფიზიკურ პირს – ანა კომახიძეს (პ/ნ 61001084981) (შემდგომშიმოხსენიებული როგორც მინდობილი) ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას, კერძოდ:

1. წარმოადგინოს მიმნდობი **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ საქალაქო სამსახურში, მათ შორის და არამხოლოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში**, შესაბამისად, „მიმნდობის" სახელით შეიტანოს ნებისმიერი სახის განცხადება, მათ შორის, აბრისა და რეკლამის შეთანხმებასთან დაკავშირებით. ამასთან წარმომადგენელი უფლებამოსილია წარადგინოს, მიიღოს და გაიტანოს, ჩაიბაროს ნებისმიერი ცნობა/დოკუმენტი/მონაცემა/განცხადება, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტაციას/გადაწყვეტილებებს/ხელშეკრულებებს, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული საფასური, და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან, ხელი, განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება დავალების სრულფასოვნად განხორციელებასთან;

2. „მინდობილი" ვალდებულია მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს პირადად და ხელი მოაწეროს ნებისმიერ განაცხადს/დოკუმენტს/ხელშეკრულებას/განცხადებას/შეთანხმებას, რაც საჭირო იქნება აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად;

3. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მინდობილის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში მინდობილის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მინდობილობით გათვალისწინებული დავალების შესრულებისათვის.

4. მინდობილობა ძალაშია 2025 წლის 31 მაისის ჩათვლით.

**შპს „ანაგის" დირექტორი**
**ირაკლი გოგოლიშვილი**

შპს ანაგი ს/ნ: 245416401
მის: კოსტავას ქუჩა 37/39, თბილისი (0179), საქართველო
ფიროსმანის ქუჩა 1ა, ბათუმი (6009), საქართველო
ტელ: (995 32) 224 12 11 / (995 422) 27 41 39
Office@anagi.ge; info@anagi.ge

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად ANAGI